საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის
თავმჯდომარეს **ბატონ ნიკოლოზ სამხარაძეს**

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას **„საკონსულო საქმიანობის შესახებ“** საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ **საკანონმდებლო წინადადება** - საკონსულო საქმიანობის ანგარიშგებაზე სათანადო რეგულირების შემუშავების შესახებ;
- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 01/11/2022 01/33169 **წერილი.**

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-15428/22
24 11 2022 წ. ფურც. 6

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

საკონსულო საქმიანობის ანგარიშგებაზე სათანადო რეგულირების შემუშავების შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ;
- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** საქართველოს მთავრობის 30/12/2020 810 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში[1] აღნიშნულია შემდეგი:
  - ✓ „ემიგრაციის აღრიცხვის გამართული სისტემის არარსებობის გამო, სტატისტიკური მონაცემები საქართველოდან შრომითი ემიგრანტების შესახებ არ არის სრულყოფილი (მაგ., ვერ ხერხდება შრომითი ემიგრანტების მონაცემების შეგროვება და ანალიზი სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში [სქესი, ასაკი, განათლების დონე და სხვ.]).
  - ✓ აუცილებელია მიგრაციის ერთიანი რისკების ანალიზის სისტემაში ჩართული უწყებების ანალიტიკოსების კვალიფიკაციის რეგულარულად ამაღლება, მათ შორის, ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარების კუთხით, რათა მათ შეძლონ მაღალი ხარისხის ანალიტიკური ანგარიშების მომზადება“;



მიგრაციის ეფექტიანად მართვაში მონაცემთა ფლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამ პროცესში კი აუცილებელია სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობა. აღსანიშნავია, რომ მონაცემები, მაშინაც კი, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია, რიგ შემთხვევებში უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოუყენებელი რჩება. მაგალითად - 2019 წლის მიგრაციის პროფილი არ შეიცავს საკონსულო აღრიცხვის მაჩვენებელს, როგორც მონაცემთა ერთ-ერთ წყაროს[2]. დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია უმაღლესი განათლების მიღების მიზნით ჩამოსული იმიგრანტების თაობაზე, თუმცა, 2019 წლის პროფილში არ არის ასახული ანალოგიური მდგომარეობა უცხოეთში გამგზავრებულ საქართველოს მოქალაქეთა შესახებ. საქართველოდან აშშ-ს მიმართულებით

1 იხ. ბმული: https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf

2 მიუხედავად იმისა, რომ საკონსულო აღრიცხვაზე მდგომ პირთა რაოდენობა შესაძლებელია 50-60 ათასის ფარგლებში მერყეობდეს, იგი გარკვეული დინამიკის მაჩვენებელი შეიძლება გახდეს. 23/04/2020 01-72 ბრძანებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული საკონსულო აღრიცხვის განაცხადი შეიცავს სხვადასხვა სახის კითხვარს (მათ შორის უცხო სახელმწიფოში ყოფნის მიზანს/ საფუძველს).

(მექსიკის გავლით) გაზრდილი მიგრაციული ნაკადების ფონზე, ყოველგვარი სტატისტიკური მაჩვენებლის გარეშე მოცემულია შემდეგი ჩანაწერი (საქართველოს მოქალაქეების მიერ აშშ-ში ლეგალური ემიგრაციის მაჩვენებლები (მუდმივი ბინადრობის ნებართვები და მოქალაქეობა) მეტ-ნაკლებად სტაბილურია. მუდმივი ბინადრობის ნებართვების უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეებზე აშშ-ს მოქალაქესთან უშუალო ნათესაური კავშირის და ე.წ. „მწვანე ბარათის" გათამაშების საფუძველზე გაიცა). მიგრაციის 2019 წლის პროფილში ხაზგასმულია, რომ ყოველწლიურად მიმდინარეობს მიგრაციის პროფილების მონაცემთა წყაროების გამრავალფეროვნება და მეთოდოლოგიის დახვეწა, თუმცა, საქართველოს დიპლომატიურ სამსახურის მეშვეობით შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს მრავალფეროვანი მონაცემები. თუმცა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს, სავარაუდოდ მინისტრის 08/12/2009 255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მეხუთე მუხლით განსაზღვრული საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციულ გადაადგილებასთან დაკავშირებულ საკითხთა შესწავლის, საკონსულო სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და საკონსულო დაწესებულებათა, მათ შორის, საქართველოს საპატიო საკონსულოთა საქმიანობის შესახებ გეგმური ანგარიშების დამუშავება-ანალიზისა და საზღვარგარეთ დაპატიმრებულ, დაკავებულ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ საქართველოს მოქალაქეთა შესახებ საკონსულო დაწესებულებებიდან შემოსული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის მიზნით იყენებს 2010 წლის 29 სექტემბრის 4/17956-18 წერილით დადგენილ ანგარიშგების ფორმას (ნორმატიული აქტით არ არის დამტკიცებული), რომლის სტატისტიკური მონაცემების ცხრილი ასევე შეიცავს შემდეგი სახის ველებს:

- საქართველოს მოქალაქეთა <u>საერთო რაოდენობა</u>
- საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, <u>რომლებიც შევიდნენ ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე</u>
- საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც <u>დატოვეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორია</u>
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა

სტატისტიკური ფორმა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ადგილსამყოფელ და აკრედიტაციის ყველა ქვეყნებასთან მიმართებით (ჯამში 130 სხელმწიფოზე მეტი)[3], რაც სავარაუდოდ უნდა ქმნიდეს მიგრაციულ გადაადგილებასთან დაკავშირებით შედარებით სრულყოფილ სურათს. შესანამისად, მიზანშეწონილია, რომ მოპოვებული მონაცემების გაზიარება ხდებოდეს სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსათვისაც.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** ნორმატიული

3 დეტალური ინფორმაციისთვის იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2108186?publication=0

აქტების დონეზე, საქართველოს მოქალაქეთა გადაადგილების შესახებ მონაცემების მოპოვების და მათი გაზიარების შესატყვისი მექანიზმის უქონლობა.



მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ 2010 წლის 29 სექტემბრის 4/17956-18 წერილი შედგენილია ამჟამად მოქმედი „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე (22/06/2012), რაც შესაძლოა იწვევდეს კანონით რეგულირებულ რიგი საკითხების და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად მონაცემთა შეუგროვებლობის პროცესს. ამასთან, მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებული კითხვარის შემუშავება მიზანშეწონილია განხორციელდეს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრ უწყებებთან თანამშრომლობის გზით. მონაცემთა გაცვლის საჭიროება საქართველოს მთავრობის 17/07/2015 N352 დადგენილებით დამტკიცებული მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფორმირების და ადმინისტრირების წესის მე-2 მუხლით (მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში ფიზიკური ან/და იურიდიული პირების შესახებ არსებული მონაცემების დამუშავებას და სტატისტიკური მონაცემების ანალიზს მიგრაციის ტენდენციების დასადგენად) განსაზღვრული მიზნები და ამოცანებიც განაპირობებდეს. ამასთან, კომისიამ სასურველია შემდგომში უზრუნველყოს ოფიციალურ თუ არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით შეგროვებული ინფორმაციის მის წევრთათვის გაზიარება/ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამასთან, სხვა სახელმწიფო უწყებების მხარდაჭერის გარეშე, სავარაუდოა, რომ 2010 წლის 29 სექტემბრის 4/17956-18 წერილით დადგენილი ანგარიშგების ფორმა საჭიროებდეს განახლებას. 01/11/2022 01/33169 წერილის თანახმად, 2017-2021 წლების განმავლობაში ჩატარებული იქნა საკონსულო კონსულტაციები შემდეგ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან:

კონსულტაციები ჩატარებულია შემდეგ ქვეყნებთან/ ორგანიზაციებთან		
დსთ-ს წევრი სახელმწიფოები	ევროპის კავშირის სახელმწიფოები	სხვა სახელმწიფოები
აზერბაიჯანი	ესტონეთი	თურქეთი
ბელარუსი	--- --- ---	ირანი
თურქმენეთი (ასოცირებული)	--- --- ---	ისრაელი

უზბეკეთი	--- --- ---	უკრაინა
სომხეთი	--- --- ---	--- --- ---

ერთის შეხედვით, ამ ცხრილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მეზობელ ქვეყნებში/ დსთ-სახელმწიფოებში მყოფ თანამოქალაქეთა მდგომარეობას უფრო მძაფრად აღიქვამს, ვიდრე ევროპის კონტინენტზე მყოფ ემიგრანტთა ყოფას. საყურადღებოა, რომ სახელმწიფოთა შორისი თანამშრომლობა, გარდა 01/11/2022 01/33169 წერილისა, საქართველოს მოქალაქეთა მჭიდროდ დასახლებულ ქვემოაღნიშნულ ქვეყნებთან მიმართებითაც, ინტერნეტ სივრცეში არ იკვეთება 2017 წლამდე პერიოდთან[4], მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეთა არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია პერიოდულად პრესისა და მედია საშუალებებითაც ვრცელდება:

ავსტრიის რესპუბლიკა	კვიპროსის რესპუბლიკა	ბელგიის სამეფო	**პოლონეთის რესპუბლიკა**
საბერძნეთის რესპუბლიკა	ნიდერლანდების სამეფო	**საფრანგეთის რესპუბლიკა**	პორტუგალიის რესპუბლიკა
ირლანდიის რესპუბლიკა	**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა**	გაერთიანებული სამეფო	კანადა
იტალიის რესპუბლიკა	**ესპანეთის სამეფო**	**აშშ**	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

შესაბამისად, ანგარიშგების ფორმის განახლება არა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების კუთხით უნდა იქნეს განხილული, არამედ განსახილველი თემების მხრივ არსებულ კითხვართან მიმართებითაც. მაგალითად - ცალკეული პუნქტის ან ქვეპუნქტის სახით - საკონსულო დაცვის კუთხით საკონსულო თანამდებობის პირის მიერ წინადადებების და რეკომენდაციების წარმოდგენა ან „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის (საკონსულო თანამდებობის პირის შესაძლებლობების ამოწურვა)[5] ასახვა, სავარაუდოდ წარმოაჩენდა სხვა ქვეყნებთან მიმართებით საკონსულო თანამშრომლობის (მაგ.: კონსულტაციების გამართვა - გადაუჭრელი პრობლემების გადასაწყვეტად, ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, გამოცდილების გასაზიარებლად) საჭიროებას. ამ პროცესს ასევე ხელს შეუწყობდა „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს

[4] საკონსულო წინადადებების მომზადების პროცესში, ვერ იქნა მიღებული თანხმობა 06/07/2017 01/8004 წერილში ასახული 2014-2016 წლებში ჩატარებული საკონსულო კონსულტაციების ინფორმაციის გამოყენების თაობაზე, რომელიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განსახორციელებელი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე 2017 წელს გამიზიარა;

[5] თუ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, არ ხდება საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების დარღვეული უფლებების აღდგენა, საკონსულო თანამდებობის პირმა ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს და საკონსულო დეპარტამენტს

კანონის მე-17 მუხლით (საკონსულო სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულების საერთო ზედამხედველობა)[6] გათვალისწინებული გარემოებების ცალკეულად დაფიქსირებაც. ინტერნეტში იძებნება სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, რომელიც ეხება საკონსულო სფეროს. ამასთან, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ სასურველ მაგალითს შეიძლება ქმნიდეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის **Foreign, Commonwealth & Development Office**-ის ვებ გვერდის ჩანართში[7] 2020 წლიური (საკონსულო) სტატისტიკური ინფორმაცია ასევე ითვალისწინებს შემდეგ დეტალურ მონაცემებს, იგი ასევე ორიენტირებულია მოქალაქეთა დაშავების, დაზარალების და მზრუნველობის საჭიროების გამოვლენაზე:

Child Welfare: ✓ Child Abandonment; ✓ Child Custody; ✓ Child in Care; ✓ Child Safeguarding ✓ Child Working Licence ✓ Parental Child Abduction ✓ Surrogacy	**Death:** ✓ Accidental ✓ Drowning ✓ Execution ✓ Hospital Death ✓ Infectious Disease ✓ Murder or Manslaughter ✓ Natural Death ✓ Suicide	**Death in Custody:** ✓ Hospital Death ✓ Natural Death ✓ Suicide
Hospitalisation: ✓ Dementia ✓ Disability ✓ Physical Health	**Victim of Crime:** ✓ Domestic Abuse ✓ Held Against Will ✓ Modern Slavery/Human ✓ Trafficking ✓ Rape & Sexual Assault ✓ Theft	**Forced Marriage - Reluctant Sponsor**
Mistreatment & Torture	**Missing Person**	**Commercial Dispute**

ზემოხსენებული გამოწვევების გათვალისწინებით, მონაცემთა მოპოვების და გაცვლის მექანიზმის დარეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია „საკონსულო

6 საკონსულო თანამდებობის პირი ვალდებულია განახორციელოს საკონსულო სფეროში არსებული მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი ხელშეკრულებებითა და საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საერთო ზედამხედველობა.

7 იხ. ბმული: https://www.gov.uk/government/publications/foreign-commonwealth-development-office-consular-data-2020

საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს, მეათე მუხლის შემდგომ დაემატოს ქვემოაღნიშნული რედაქციის მქონე მუხლი, რომელიც ხელს შეუწყობს - თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით და უწყებების საჭიროებების გათვალისწინებით კითხვარის შემუშავებას და მონაცემთა გაცვლის მიზნით კოორდინაციის მექანიზმების დასახვას:

„მუხლი 10[1]

1. საკონსულო პოლიტიკის შემუშავება-დაგეგმვის და საკონსულო ურთიერთობების წარმართვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ხორციელდება საქართველოს საკონსულო საქმიანობის ამსახველი ანგარიშის და ადგილსამყოფელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გასაჯაროებულ მიგრაციის მონაცემთა საკონსულო დეპარტამენტისათვის წარდგენა;
2. წლიური ანგარიშის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს განსახილველი თემების თაობაზე კითხვარს და უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოდან გამოსათხოვ ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს, ანგარიშგების წესთან ერთად მტკიცდება მინისტრის ბრძანებით;
3. საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირების მიერ ზოგადი სტატისტიკური მონაცემებით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოგზავნიდან 15 სამუშაო დღის ვადაში საკონსულო დეპარტამენტი უზრუნველყოფს მიგრაციის საკითხებზე მომუშავე საქართველოს კომპეტენტური ორგანოებისათვის მიწოდებას“.

- **კანონპროექტის მიზანი:** კანონპროექტის მიზანია მიგრაციის მონაცემთა მოპოვების და გაცვლის მექანიზმების გაუმჯობესება, საკონსულო საქმიანობის ანგარიშგების განხორციელების საფუძვლების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა.

- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონის პროექტის თანახმად, კანონს ემატება მე-10 პრიმა მუხლი, რომლის თანახმად საკონსულო პოლიტიკის შემუშავება-დაგეგმვისთვის საჭირო ინფორმაციის თავმოყრას და წარდგენა/ გაზიარების მიზნით განისაზღვრება უფლებამოსილი პირების/ ორგანოების ფუნქციები.

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე,** პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]

25/11/2022

საქართველო

33169-01-2-202211010039

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/33169
01/11/2022

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

[redacted] ქ. [redacted]

ელ. ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2022 წლის 26 ოქტომბრის N37222/01 და 37228/01 განცხადებების პასუხად გაცნობებთ, რომ 2017-2021 წლებში საკონსულო კონსულტაციები გაიმართა შემდეგ ქვეყნებთან/საერთაშორისო ორგანიზაციასთან:

- სუამი - 2017 წლის 16-17 მარტი, 2018 წლის 1 ოქტომბერი, 2019 წლის 10 ოქტომბერი;
- ისრაელი - 2017 წლის 10 მაისი;
- თურქეთი - 2017 წლის 8 დეკემბერი, 2019 წლის 15 ნოემბერი;
- უკრაინა - 2018 წლის 3 აგვისტო;
- ესტონეთი - 2018 წლის 5 დეკემბერი;
- სომხეთი - 2019 წლის 15 თებერვალი, 2021 წლის 14 აპრილი;
- ირანი - 2019 წლის 20 თებერვალი;
- უზბეკეთი - 2019 წლის 19 ივლისი;
- აზერბაიჯანი - 2019 წლის 11 ოქტომბერი;
- თურქმენეთი - 2019 წლის 1 ნოემბერი;
- ბელარუსი - 2019 წლის 3 დეკემბერი.

ამასთან, რაც შეეხება საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ცენტრალურ აპარატში წარსადგენ წლიური ანგარიშის ფორმას - ეს უკანასკნელი განსაზღვრულია საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის 2010 წლის 29 სექტემბრის N.4/17956-18 დირექტიული წერილით, რომელსაც გიგზავნით დანართის სახით.

დანართი: 3 (სამი) გვერდი

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები			
კატეგორიები	რაოდენობა	ინფორმაციის მიღების წყარო (უწყება)	შენიშვნა
საქ. მოქალაქეთა საერთო რაოდენობა			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობა			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც შეეიდნენ ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც დატოვეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორია			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მოითხოვეს თაეშესაფარი			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა თხოვნა დაკმაყოფილდა თაეშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ დროებითი ან მუდმივი ბინადრობის უფლება (საფუძვლების მითითებით)			
საგანმანათლებო დაწესებულებებში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა			
სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ საქ. მოქალაქეთა რაოდენობა			
სადეპორტაციო დაწესებულებაში მყოფ პირთა რაოდენობა			
დეპორტირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
ექსტრადირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
რეადმისირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
ვადმოყვანილ მსჯავრდებულთა რაოდენობა			
გარდაცვლილ საქ. მოქალაქეთა რაოდენობა			

ცხრილში უნდა მიეთითოს საანგარიშო წლის მონაცემები.

-დიპლომატიური წარმომადგენლობა/საკონსულო დაწესებულება, რომლის საკონსულო ოლქი მოიცავს ერთზე მეტ უცხო ქვეყანას, წინამდებარე სტატისტიკური ცხრილი უნდა შეავსოს ყოველი კონკრეტული უცხო ქვეყნისთვის ცალცალკე, ამასთანაეე ცხრილის მარჯვენა ზედა კუთხეში უნდა მიეთითოს, ქვეყანა, რომელზეც წარმოდგენილია ზემოთმოყვანილი მონაცემები.

-ინფორმაციის მიღების წყაროში მიეთითება ის კონკრეტული უწყება რომელსაც მიემართა ინფორმაციის მოთხოვნით.

-ცხრილში ასახულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, უნდა მიემართოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს, საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე ორი თვით ადრე

წლიური ანგარიშში განსახილველი თემები

1. საკონსულო დაცვა:

   ა) საკონსულო დაცვის კუთხით ადგილსამყოფელ ქვეყანაში/ებში[1] განხორციელებული საკონსულო მოქმედებების სახეობები (რა სახის საკონსულო დახმარების გაწევის აუცილებლობა დგება [illegible] წესრიგში კონკრეტულ ქვეყნებთან მიმართებით);

   დ) საკონსულო დაცვის გაწევის პროცესში არსებული პრობლემები.

2. საკონსულო ოლქის შემოელა:

   ა) საკონსულო ოლქის შემოელის დროს საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი კონცენტრაციის ადგილები (რაოდენობა ადგილების მიხედვით და საქმიანობის სფერო);

   ბ) საკონსულო ოლქის შემოელის დროს საქართველოს მოქალაქეებთან განხილული ძირითადი საკითხები (განხორციელებული საკონსულო მოქმედებები);

   გ) საკონსულო ოლქის შემოელის შედეგების ანგარიში და შეფასება.

3. საკონსულო საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ძირითადი პრობლემატიკის მომოხილეა:

   ა) ძირითადი პრობლემატიკა რაც არ არის დაკავშირებული საკონსულო დაცვასთან (გამომწვევი მიზეზები, გადაჭრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და მიღწეული შედეგი);

   ბ) საკონსულო საქმიანობის პროცესში, საქართველოს კანონმდებლობის გამოყენების დროს წარმოქმნილი სირთულეები რაც განპირობებულია ადგილსამყოფელი ქვეყნ(ებ)ის სპეციფიკით; (მოკლე აღწერა და პრობლემის გადაწყვეტის თქვენი ხედვა).

   გ) საკონსულო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, კონკრეტული მიმართულების მარეგულირებელი ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობის თაობაზე თქვენი მოსაზრებები (კონკრეტულად რა სახის ხელშეკრულება, რა

[1] საკონსულო დაწესებულება, რომლის საკონსულო ოლქი მოიცავ რამოდენიმე ქვეყანას საკონსულო დაცვის კუთხით ინფორმაციას წარმოადგენს თითეული ქვეყნისათვის ცალცალკე.

მხრივ დაეხმარება ხელშეკრულების არსებობა თქვენს საქმიანობას და ამ მიმართულებით თქვენი საქმიანობის აღწერა).

4. საკონსულო საქმიანობის სფეროში თანამშრომლობა ადგილსამყოფელ ქვეყნის სტრუქტურებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

   ა) ზოგადი მიმოხილვა, განხილული საკითხები და მიღწეული შედეგები.

5. ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოღვაწე საქართველოს საპატიო კონსულებთან თანამშრომლობის შესახებ;

   ა) საპატიო კონსულის საქმიანობის მოკლე შეფასება;

   ბ) ერთობლივი ღონისძიებები;

   გ) წინადადებები საქართველოს საპატიო კონსულის კონკრეტული საკონსულო ფუნქციებით აღჭურვის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყანაში წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო და სხვა სახის მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ (თქვენი შეფასება - მიზეზები, დამდგარი შედეგი და მათი ზეგავლენა ქვეყანაში მყოფ საქართველს მოქალაქეებზე).

7. ინფორმაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის გამოცდილების და პრაქტიკის შესახებ (ინფორმაცია საკონსულო სამსახურების საქმიანობის მოწყობის, წარმდგენი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებთან მათი კოორდინაციის, საკონსულო სფეროში ადგილსამყოფელი ქვეყნის გამოცდილების ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით და მოქმედების სფეროთი და რომელიც პრაქტიკაში არ გავქვს საქართველოში), რომელიც თქვენი აზრით უნიკალურია და შესაძლოა მისი დანერგვა საქართველოში.

8. სხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც თქვენ მიიჩნევთ მნიშვნელოვნად წლიურ ანგარიშში ასახვის მიზანშეწონილობის კუთხით.